მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2024 წელი, №5

მესტიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის სოფიო ჩხვიმიანის ანგარიში ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ



დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე შესაძლებლობა მომეცა წლების განმავლობაში აღნიშნული მიმართულებით მიმეღო დიდი გამოცდილება, პირადი წვლილი შემეტანა ერთობლივ საქმეში და რაც მთავარია უშუალო შეხება მქონოდა ხალხთან და პირადად მათგან გამეგო მათი საჭიროებები და მოთხოვნები, რამაც საშუალება მომცა გარკვეული წვლილი შემეტანა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის სერვისების და პროგრამების შემუშავებასა და დანერგვაში. ჩემთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ხელმძღვანელი პირის თუ თანამშრომლის სწორი კომუნიკაცია, საქმისადმი ერთგულება და თანადგომა, რამაც განაპირობა ბევრი სოციალური პროგრამის და სერვისის განხორციელება და წარმატება. რათქმაუნდა წინ კვლავ მრავალი ამოცანაა შესასრულებელი და დარწმუნებული ვარ ერთიანი თანამშრომლობით და მოსახლეობის ჩართულობით, ეს ამოცანები ეტაპობრივად აუცილებლად შესრულდება. ჩემთვის ყოველი დაბრკოლება ახალი მიზანია, ხანდახან სწორედ ასეთი დამაბრკოლებელი ცვლილებები გაძლევს ცხოვრების მიზნის პოვნის ახალ შესაძლებლობა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური 2023-2024 წწ-ის განმავლობაში ადმინისტრირებას უწევს 4 სოციალურ პროგრამას და 26 ქვეპროგრამას, რომლებიც მოიცავენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს. პროგრამები ითვალიწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ და სსმ საჭიროების მქონე პირების,მარჩენალდაკარგული ოჯახების, დიალიზით მოსარგებლე და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების, ონკოლოგიური და ფსიქიური პრობლემების მქონე პირების, უსახლკაროთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, როგორც სერვისის მიწოდების ასევე ფულადი დახმარების გაცემის გზით.

გასული წლების ანალიზის შედეგად, ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები გახდა უფრო მიზნობრივი და ხელს უწყობს მოსახლეობის სიღარიბის შემცირებას, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბოლო წლების ანალიზმა გამოავლინა, რომ მოსახლეობას გაეზარდა ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები, აქედან გამომდინარე შევიმუშავეთ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების დაფინანსებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამები, რამაც მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვის მომსახურებები.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023-2024 წწ-ის სოციალური პროგრამები/ქვეპროგრამები და სერვისები:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა, რომელშიც შედის:

სოციალური ქვეპროგრამები:

მარჩენალდაკარგული ოჯახების (0-დან 18 წლისასაკამდე) და მარტოხელა მსობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლისასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის მქონე მარტოხელა ხანდაზმულების (საპენსიომ ასაკის მქონე) სოციალური დაცვის ქვეპროგრამა.

ხანდაზმულების (90 წელი და ზემოთ) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე სარიტუალო მომსახურებისთვის, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

ახალშობილებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

მრავალშვილიან (არასრულწლოვანი ხუთი შვილი და ზემოთ) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

➢ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

➢ ონკოლოგიური ავადმყოფების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა

დიალიზით მოსარგებლე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.

ჯანდაცვის ქვეპროგრამები:

სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

➢ ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება/დაფინანსების ქვეპროგრამა.

➢ მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

➢ C ჰეპატიტით დაავადებულთა სამედიცინო კვლევების ერთჯერადი თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

➢ სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმური ენდოსკოპიური გამოკვლევის ერთჯერადი თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

0-დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით სამედიცინო კვლევების ერთჯერადი თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის, შეფასების და თერაპიების (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, არტ. თერაპია და სხვა) დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება ქვეპროგრამა.

3. სტიქიით (მათ შორის – ხანძარი) დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (პ/კ-06 03).

4. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მოიცავს 3 ქვეპროგრამას:

1. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ქვეპროგრამა (კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარება/კრიზისულ

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

მეხიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის სოფიო ჩხვიმიანის ანგარიში ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების, მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება).

2. სიღატაკეში ან/და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ქვეპროგრამა.

3. ძალადობის მხვერლის სტატუსის მქონე პირების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

5. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურში 2023 წლის 12 თვის განმავლობაში:

➢ მოქალაქეების მხრიდან შემოსულია 1 622 განცხადება.

➢ პროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით დახმარება გაეწია 1 479 განმცხადებელს – 830 371.10 (რვაას ოცდაათი ათას სამას სამოცდათერთმეტი ლ. 10 თ.) ლარის ოდენობით;

➢ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან (მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებიდან) შემოსულია 573 წერილი, ყველა წერილი შესრულებულია;

➢ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურში 2024 წლის 6 თვის განმავლობაში:

➢ მოქალაქეების მხრიდან შემოსულია 1211 განცხადება, კატეგორიების მიხედვით დახმარება გაეწია 991 განმცხადებელს – 584 873.45 (ხუთას ოთხმოცდაოთხი ათას რვაას სამოცდაცამეტი ლ. 45 თ.) ლარის ოდენობით;

➢ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია 396 წერილი, 323 წერილი შესრულებულია, 73 წერილი განხილვის პროცესშია.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის და მერიის სოციალური მუშაკების მოკვლევის საფუძველზე, შექმნილია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისული ოჯახების მონაცემთა ბაზა და ეტაპობრივად მიმდინარეობს კრიზისული ოჯახების მოკვლევისა და მონიტორინგის პროცესი.

2023-24 წლის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების,ქალების,ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახილველად შემოვიდა 228 განცხადება, ვიზიტი განხორციელდა და დაკმაყოფილდა 183 განმცხადებელი (კრიზისული ოჯახი) 50 272.80 (ორმოცდაათი ათას ორას სამოცდათორმეტი ლ. 80 თ.) ლარის ოდენობით.

2024 წლის 6 თვის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების,ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის

პროგრამის ფარგლებში განსახილველად შემოვიდა 158 განცხადება, ვიზიტი განხორციელდა და დაკმაყოფილდა 88 განმცხადებელი (კრიზისული ოჯახი) 38 573. 53 (ოცდათვრამეტი ათას ხუთას სამოცდა ცამეტი ლ. 53 თ.) ლარის ოდენობით.

მესტიის მუნციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სათანადო დახმარების გაწევა წარმოადგენს. აღნიშნული კუთხით წლების განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები და შემუშავდა პროგრამები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მათთვის შესაბამისი სერვისების გეგმაზომიერი მიწოდება.

მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს აა.ი.პ. „ერთად რეალური ცვლილებებისთვის“ ადმინისტრირების ქვეშ მყოფი კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებსა და მათ ოჯახებს უსასყიდლოდ სთავაზობს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, ადრეული განვითარების, ხანდაზმულთა და შშმ პირთა შინმოვლისა და რეაბილიტაცია-სამკურნალო მასაჟის პროგრამებს. პერიოდულად ცენტრში პროფესიულ ვიზიტებს ახორციელებენ სხვადასხვა მოწვეული, მათ შორის უცხოელი სპეციალისტები და თითოეულ მათგანს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს არსებული სერვისებით.

ცენტრის ბაზაზე განთავსებულია შემდეგი სერვისები:

დღის ცენტრი -არსებული სერვისი განკუთვნილია დაბა მესტიაში და სოფ: ლენჯერში, ლატალში და მულახში მცოხვრები, 6-დან 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის. დღის ცენტრის მომსახურება ბენეფიციარებს მიეწოდებათ ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმედღეების გარდა, მინიმუმ 3 საათის განმავლობაში და გულისხმობს როგორც ბენეფიციართა ტრანსპორტირებას და ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას, ასევემათი ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური საჭიროებების გამოვლენას და აკადემიური, ადაპტური, სოციალურ-კომუნიკაციურ უნარების განვითარებაზე ზრუნვას. დამატებით დღის ცენტრი უზრუნველყოფს ფსიქოლოგის, ხელოვნების თერაპიის, მეტყველების თერაპიის, სენსორული ინტეგრაციის სერვისების, რიტმული შეზელვისა და სამკურნალო ვარჯიშების ხელმისაწვდომობას (10 ბენეფიციარი);

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე); ზრდასრულების (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას. არსებული სერვისი, ასევე დამატებით მოიცავს ტრანსპორტირებას (სახლიდან ცენტრამდე და პირიქით) და კვებას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე);

შინ მოვლის სერვისი, რომელიც გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზიაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნელის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, კონსულტაციების გზით (35 ბენეფიციარი) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას. ასევე, მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში ;

ცვლილება შევიდა სტიქიის (მათ შორის ხანძრით) დაზარალებუი ოჯახების დახმარების პროგრამაში და ამ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში უკვე განიხილება ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების სამშენებლო მასალის დაფინანსება/თანადაფინანსების და ხანძრის შედეგად დაზარალებული პირების ერთჯერადი დახმარების/დაფინანსების მოთხოვნის შესახებ შემოსული განცხადებები.

პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სიძველისა და სტიქიის (მათ შორის ხანძრის) შედეგად დაზიანებული და ავარიული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს/თანამესაკუთრეს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისთვის დახმარების გაცემის საბჭო უფლებამოსილია ხანძრით მიღებული ზარალის შემთხვევაში განსაზღვროს, დამდგარი ზიანის მიხედვით ერთჯერადი დახმარების გაწევა არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარისა.

➢ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისთვის დახმარების გაცემის საბჭო სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობებისრეაბილიტაციის პროცესში უფლებამოსილია, მინიჭებული კატეგორიის შესაბამისად და დამდგარი ზიანის

მიხედვით განსაზღვროს სამშენებლო მასალის დაფინანსების/თანადაფინანსების ოდენობა არაუმეტეს 2 000 (ორი ათასი) ლარისა.

პროგრამაში მონაწილეობისთვის, პროგრამის მონაწილე უძრავი ქონების მესაკუთრე (გარდა ხანძრის შედეგად დაზარალებული პირებისა) ვალდებულია პროგრამით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს შენობა-ნაგებობების შემფასებელი მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ტექნიკური დათვალიერების აქტის საფუძველზე შემდგარი ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის (ინვოისი).

➢ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისთვის დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან და დამდგარი ზიანიდან გამომდინარე, დახმარების/დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუველზე უძრავი ქონების მესაკუთრესა (გარდა ხანძრის შედეგად დაზარალებული პირებისა) და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს შორის იდება ვალდებულების დამადასტურებელი ხელშეკრულება (დანართი N1).

ბენეფიციარმა, პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებით (დანართი N1) გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს და დოკუმენტურად დაადასტუროს, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული თანხით შესრულებული ყველა შესყიდვა განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელისგან, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენთიფიკაციო ნომერი. ქვეპროგრამით გათვალისწინებული შესყიდვა უნდა განხორციელდეს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ზედამხედველობით, თანხის ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში.

➢ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ხანძრის, სტიქიის ან/და სიძველის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისთვის დახმარების გაცემის საბჭო, მერთან შეთანხმებით უფლებამოსილია პროგრამის ფარგლებში განსაზღვროს დამატებითი პირობები.

➢ მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები.

➢ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ოჯახი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ჩაითვლება დაკმაყოფილებულად და დაფიქსირებულ უძრავ ქონებაზე განმეორებით ვეღარ ისარგებლებს აღნიშნული კატეგორიით გათვალისწინებული დახმარებით/დაფინანსებით/თანადაფინანსებით.

სპექტაკლი „ლუშნუ“

ლუშნუ შემეცნებითი-სათავგადასავლო ჟანრის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული და ეთნო სპექტაკლია, რომელიც საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტია

სცენარში მიმოხილულია სხვადასხვა ისტორიული ამბები. აგებულია წერილობითი წყაროების გადმოცემების და კვლევების შეჯერების შედეგად. გამოყენებულია ავტორთა ციტირებები, სვანური ფოლკლორი და ქრონოლოგიურად წარმოდგენილია უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები.

15, 16 ოქტომბერს სპექტაკლის პრემიერა შედგა თბილისის რუსთაველის ეროვნულ თეატრში, რომელიც სრული ანშლაგით დასრულდა. 18,19 ოქტომბერს ქუთაისის მესხიშვილის თეატრში. 20 ნოემბერს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. 21 ნოემბერს ლენტეხის კულტურის ცენტრში. 28, 29 ნოემბერს კი მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში.

„ლ უ შ ნ უ“ – დადგმა და სცენოგრფია: ლაშა ონიანი. კონცეპტი: ლაშა ონიანი, გეგი ფალიანი. ინსცენირება: სოფო ფალიანი. ხმა, მუსიკალური გაფორმება: გიორგი ხოსიტაშვილი. მხატვრები: გეგი რატიანი, რამაზი ფილფანი, საშა გვარლიანი.

სადადგმო ნაწილის ხელმძღვანელი: მარიამ ნავერიანი.

განათება: შმაგი ხაჟალია, გოგა უდესიანი.

მონაწილეობენ: გეგი ფალიანი, მანანა აბრამიშვილი (რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი) მარიამ ნავერიანი, გიორგი ნავერიანი, ბაქარი ფალიანი, ანსამბლი „რიჰო“- (ხელმძღვანელი ვახტანგ ფილფანი), ანსამბლი „ბანგურიანი“ (ხელმძღვანელი ბექა ჩართოლანი) სპექტაკლის ქორეოგრაფები: გიორგი მერლანი, არჩილ მურღვლიანი. წარმოდგენის ხანგრძლივობა: 90 წთ.

პრემიერა შედგა 2024 წლის 15 და 16 ოქტომბერს, რუსთაველი ეროვნულ თეატრში. პროექტის მხარდამჭერია: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მესტიის მუნიციპალიტეტი, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, რუსთაველის ეროვნული თეატრი. შპს „ფარჯი გრუპი“

შემეცნებით-სათავგადასავლო ჟანრის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ეთნო სპექტაკლის მიზანი იყო, გაეცნო ფართო საზოგადოებისთვის სვანეთის ისტორიული როლი, რომელიც განუყოფელია საქართველოს ეროვნული განვითარებისა და მისი კულტურული მემკვიდრეობისგან.

ალკას მუზეუმის წარმომადგენლები მესტიას ესტუმრნენ

ლიეტუვასა და საქართველოს შორის აქტიური პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობა კულტურისა და ხელოვნების სფეროშიც მიმდინარეობს მესტიის მუნიციპალიტეტი 2017 წლიდან არის დამეგობრებული ქალაქ ტელშაიასთან, რომელიც ლიეტუვას ჩრდილო – დასავლეთ მხარეში მდებარე ტელშაიას რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია.

წლების მანძილზე არაერთი აქტივობა, ურთიერთ ვიზიტები, გამოცდილებების გაზიარება და სხვა საინტერესო პროექტები განხორციელდა ჩვენს მუნიციპალიტეტებს შორის. ამჯერად, სვანეთის ისტორიის მუზეუმს, სვანეთის ისტორიისა და კულტურის გაცნობის, ასევე, თავიანთი კულტურის ჩვენთვის გაზიარების მიზნით, ესტუმრენ ალკას მუზეუმის წარმომადგენლები ლიეტუვადან.

სტუმრობის მიზანია ასევე თანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავება სვანეთის მუზეუმსა და ალკას მუზეუმს შორის, რაც კიდევ მეტად გააფართოებს კულტურულ ურთიერთობებს ორ ქვეყანას – საქართველოსა და ლიეტუვას შორის.

საზოგადოებას მთელი წლის განმავლობაში საშუალება ექნება ესტუმროს სვანეთის მუზეუმს და დაათვალიეროს სტუმრების მიერ წარმოდგენელი მედალიონების ნიმუშები.

ძალზედ საინტერესოდ ჩატარდა გახსნის ღონისძიება სვანეთის მუზეუმში 14 ნოემბერს. ღონისძიებას ესწრებოდნნ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მუზეუმის თანამშრომლები, დაინტერესებული მოქალაქეები და სტუმრები ლიუტუვადან.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ადგილობრივი ანსამბლის „რიჰო“ ხელმძღვანელმა ვახტანგ ფილფანმა, რომელმაც მისთვის ჩვეული საინტერესო თხრობის მანერით წარუდგინა სტუმრებს სვანური ფოლკლორის ისტორია და გუნდის წევრებთან ერთად შეასრულა არაერთი სვანური სიმღერა. ანსამბლთან ერთად სვანურ ფერხულში ჩაებნენ სტუმრები ლიეტუვადან. ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ლიეტუვადან ჩამოტანილი მედალიონებისა და სკულპტურების დათვალიერებას.

მესტიაში სანოტარო მომსახურება განახლდა



მესტიის მუნიციპალიტეტში სანოტარო მომსახურების არ არსებობა დიდ პრობლემას წარმოადგენდა მოსახლეობისათვის.

სასიხარულოა, რომ მესტიაში სანოტარო მომსახურება მოსახლეობისათვის განახლდა.

მოსახლეობას სანოტარო მომსახურებას ნოტარიუსი, ქ. **ᲚᲝᲜᲓᲐ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ** გაუწევს.

სანოტარო სერვისების მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ ბიუროს ოფისს შემდეგ მისამართზე:

დაბა მესტია, სეტის მოედანი 19.

(დაბა მესტიის ადმინისტრაციული შენობა)

სამუშაო გრაფიკი:

ორშაბათი-პარასკევი

10:30-16:00 სთ.

ტელეფონის ნომერი:

595 521 900

ჩემი პირველი კომპიუტერი

მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მარიამ ჯაფარიძემ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, რომლებმაც საბაზო საფეხური (მე-7, მე-8, მე-9 კლასები) წარჩინებით დაამთავრეს კომპიუტერები გადასცა. მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან დღეს 15 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში ყოველ წელს ათასობით მოზარდს გადაეცემა კომპიუტერი. პროგრამის მთავარ მიზანს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სკოლებში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გაძლიერება წარმოადგენს.

რძის პროდუქტების მწარმოებელი ქალი ფერმერების გაძლიერება

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) სამეგრელო-ზემო სვანეთში განხორციელებული მერძეული მიმართულებით მომუშავე ქალ ფერმერებზე ფოკუსირებული პროექტის წარმატებული დასრულება აღნიშნა. ოთხწლიანი პროექტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით განხორციელდა და მიზნად ისახავდა რძის პროდუქტების მწარმოებელი ქალი ფერმერების გაძლიერებას.

დახურვის ღონისძიებაში მერძეული მიმართულებით მომუშავე ქალი ფერმერები ჩაერთვნენ. ყველა მათგანი მონაწილეობას იღებდა FAO-ს ფერმერთა საველე სკოლებში. დასკვნით ღონისძიებას SDC-ისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ პროექტის სხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სოფლის განვითარებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოების, ზუგდიდის მერიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

გასული ოთხი წლის განმავლობაში, FAO-მ 30 ფერმერთა საველე სკოლა დააარსა სამეგრელო-ზემო სვანეთის რვა მუნიციპალიტეტში. აღნიშნულ ფორმატში, 600-ზე მეტმა მერძევე ქალმა ფერმერმა მიიღო ცოდნა რძის პროდუქტების წარმოებისა და ჰიგიენის კარგ პრაქტიკაზე. ასოციაცია "სვანური ნარჩვის" ყველა წევრი აქტიურად იყო ჩრთული სასწავლო პროგრამაში და მნიშნელოვანი ცოდნა და გამოცდილება მიიღეს. ამას გარდა, მონაწილეები გაეცნენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხებს, შეიძინეს ბიზნესის მართვისა და ლიდერობის უნარები. ცოდნის გაზიარებასთან ერთად, მაღალი ხარისხის პროდუქტის ეფექტური წარმოების მხარდასაჭერად, მათ რძისა და რძის პროდუქტის საწარმოო დანადგარები და ხელსაწყოებიც გადაეცათ.

მეხორბლეობის განვითარება მუნიციპალიტეტში

მოგეხსენებათ, ხორბალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურაა, რომელიც მილიარდობით ადამიანს საკვებით უზრუნველყოფს. ეს არის უაღრესად ადაპტირებადი კულტურა, რომელიც იზრდება სხვადასხვა კლიმატსა თუ ნიადაგის ტიპებში.

საქართველო არა მხოლოდ ვაზის, არამედ ხორბლის ქვეყანაცაა.

მსოფლიოში არსებული ხორბლის 27 კულტურული სახეობიდან საქართველოში 14 სახეობაა გავრცელებული, მათ შორის 5 ენდემური ჯიში. ეს ჯიშები გამოირჩევა მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებებისადმი გამძლეობით.

რამდენიმე წლის წინ, ფარის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ლუჰაში მცხოვრები თენგიზ დადეშქელიანი დაინტერესდა ხორბლის მოყვანით, შეიძინა ქ. ზუგდიდში ერთი ტომარა სათესლე ხორბალი და მოსავალი ტონა ნახევარზე მეტი აიღო.

ხორბლის დამუშავება-დაფქვის შემდეგ, ოჯახის დიასახლისმა – როენა ჩხვიმიანმა შინ გამომცხვარი პურის არომატი ძალიან შეიყვარა და გადაწყვიტა, უფრო სერიოზულად მოეკიდათ ხელი მეხორბლეობისათვის, წამოეწყოთ მცირე ბიზნესი, სადაც გაყიდიდნენ სვანეთში მოყვანილი ხორბლისგან დამზადებულ პურს, რომელიც სვანურ ღუმელში გამოცხვებოდა.

2023 წელს, მესტიის ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით და მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის ორგანიზებით, ადგილობრივი ფერმერების მხარდაჭერის მიზნით, დაიწყო საშემოდგომო სათესლე ხორბლის უსასყიდლოდ დარიგება მოსახლეობისათვის.

დადეშქელიანების ოჯახს საშუალება მიეცა განევითარებინა მეხორბლეობა, ისინი სიყვარულით შეეუდგნენ ამ საქმეს და დღეს უკვე რეალიზაციას უწევენ შინ გამომცხვარ პურს, რომლის არომატიც მართლაც განსხვავებულია.

მეცნიერული კვლევების მიხედვით ხორბალი მომავლის ერთ-ერთი პერსპექტიული კულტურაა.

ქართული ხორბალი მჭიდროდაა დაკავშირებული ტრადიციებთან და რიტუალებთან. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა მისი მოყვანის, გადამუშავებისა და გამოყენების უნიკალური მეთოდები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და ქვეყნის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ხორბლის უხვი მოსავლის ასაღებად მნიშვნელოვანია პროცესის ყურადღებით დაგეგმვა.

პროცესის სწორად დასაგეგმად შესაძლებელია კონსულტაციის გავლა პროფესიონალებთან, მათი რეკომენდაციების გათვალისწინება კი არის უხვი მოსავლის საწინდარი.

მეხორბლეობით დაინტერესებულ ფერმერებს მომავალ წელსაც ექნებათ საშუალება ისარგებლონ ადგილობრივი ფერმერების მხარდაჭერის პროგრამით და განავითარონ მეხორბლეობა მუნიციპალიტეტში.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲒᲔᲚᲘ: ᲛᲔᲡᲢᲘᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲒᲣᲚᲝ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲓᲐᲑᲐ ᲛᲔᲡᲢᲘᲐ, ᲡᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ᲘᲠᲛᲐ ᲯᲐᲭᲕᲚᲘᲐᲜᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲜᲐᲙᲐᲜᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲐᲑᲐᲓᲝᲜᲓᲐ ᲨᲗᲡ. „ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45

ᲘᲠᲛᲐ ᲯᲐᲭᲕᲚᲘᲐᲜᲘ

ელ. ფოსტა:

irmajachvliani1968@gmail.com